რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე, თ. მუხრანსკის სახლებ-ის ქვემოთ

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (ბერაძის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ხელის-მომწერთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., ... ასოზე ნახევარი კაპ., ... ზე მეტი.

თუ ხანგრძლივს მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დაუბეჭდავად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკან არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გორის უეზდის კეთილშობილთა წინამძღოლი**

აცხადებს და უმორჩილესად სთხოვს უეზდის თავადთ და აზნაურთ:

I, მობრძანდნენ ქ. გორს. 18 აპრილს, დილის ათ საათზედ, გორის უეზდის კეთილშობილთა ჩვეულებრივ კრებაზედ, რომელიც უნდა შესდგეს: 1, მოსამზადებლად და მოსახდენათ სხვა-და-სხვა განკარგულებისა მომავალი მისის გუბერნიის კრებისათვის; 2, მოსალაპარაკებლათ თავიანთ საჭიროებაზედ და სასარგებლო საგნებზედ და 3, პრიკაზის ვალის თაობაზედ (ამ საგნის განხილვისათვის საჭირო არის დაესწრნენ კრებაში მხოლოდ პრიკაზის მოვალეები) და

II, წარმოუდგინონ მას კანონიერი საბუთები, რომელითაც შეეძლებათ მიიღონ მონაწილეობა ყოველ საგნის განხილვაში და წინამძღოლების ამორჩევაში.

გუბერნიის კრებაზედ: ა) საგნების განსახჯელად და მათ გარდასაწყვეტლათ ხმის ნება მიეცემა მხოლოდ იმ პირს, რომელსაც აქვს: დამტკიცებული კეთილშობილობის ღირსება და რამე მამული და ამასთანავე აქვს ან ჩინი, ან რომელიმე რუსის სახემწიფოს ორდენი (ჯვარი), ან დასრულებია სწავლა შუათანა ანუ უმაღლეს სასწავლებელში.

ბ) კეთილშობილთა წინამძღოლების ამორჩევისათვის, გარდა ხსენებულ მოთხოვნილებისა, უნდა ჰქონდეს საკუთრებათ ათასი დღის მამული, ან ჰყვანდეს ოცი კომლი დროებით-ვალდებული გლეხი, ანუ ოცი კომლი მოსახლე ბოგანო.

მამულის მფლობელობის საბუთებათ მიიღება ყოველი კანონიერი ქაღალდები, რომელნიც ამტკიცებენ ათასი დღის მამულის საკუთრებას (ნასყიდობის სიგელი, ვოდნი ლისტი, გაყრილობის გასაჩენი და სხვანი), დებულობის ოქმები (უსტავ. გრამ.) და პირობის წერილები მამულზედ მოსახლე ბოგანოებთან.— (3—3)

**ტფილისის უეზდის კეთილშობილთ წინამძღოლი** უმორჩილესად სთხოვს ბატონთ ტფილისის უეზდის თავად-აზნაურთ, რათა ინებონ და მობრძანდნენ ამა აპრილის 11-სა, კვირას დილით 11 საათზე, ტფილისის უეზდის კეთილშობილთ შეკრებილებაში, ტფილისის თავად-აზნაურთ საადგილ მამულო ბანკში.

საგანნი: 1) აზნაურთ სიების და საბუთების გაშინჯვა; 2) განხილვა საქმისა, შესახებ აზნაურთ შვილების აღზრდაზე და 3) ამორჩევა უეზდის აზნაურთ კომიტეტისა პრიკაზის ვალების პატიობის საქმეზე,—ამა ბოლოს საგანზედ მოიწვევიან ის თავად-აზნაურნი ტფლისის უეზდისანი, რომელთაც სოფლის მამულები აქვსთ დაგირავებული პრიკაზში. (3—3)

## ტელეგრამმა

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**ლონდონი**, 9 აპრილს. აქ მიიცვალა გამოჩენილი ბუნების-გამომეძიებელი დარვინი. ნაფიცთ სასამართლომ შეკუა-შეშლილად აღიარა მაკლინი, რომელმანც ინგლისის კოროლევას ვიქტორიას რევოლვერი ესროლა, და გაამართლა იგი. მაკლინი საავადმყოფოში გაგზავნეს.

### საზოგადო საჭიროებანი

ტფილისი, 10 აპრილს.

მოახლოვდა მაისი და ჩვენს თავად-აზნაურობაში ნელ-ნელა იწყება ლაპარაკი, ჩოჩქოლი და მღელვარება.

აქაც, ტფილისშიაც, და ქუთაისშიაც წელს ორ გვარი კრება იქნება თავად-აზნაურობისა: მარშლების ამოსარჩევად და საადგილ-მამულო ბანკების თაობაზედ. გუბერნიისა და მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღომელნი აქაც უნდა ამოარჩიონ და ქუთაისშიაც; ბანკის ამორჩევას კი აქ უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება წელს, ვინემ ქუთაისში, რადგან უნდა ამოარჩიონ ბანკის გამგეობის თავმჯდომარე და წევრები ზედამხედველ კომიტეტისა და დამფასებელ კომისიისა; ქუთაისში კი მხოლოდ ერთი დირექტორი და რამდენიმე წევრი ზემოხსენებულ კომიტეტ-კომისიისა.

მაგრამ ყველაზე უფრო მომეტებული ლაპარაკი და ჩოჩქოლი ამ ბანკის საქმეებზედ როდია ამ ჟამად ჩვენში,—მარშლების კენჭის-ყრა აღელვებს ყველას, ამაზედ სჯიან, ამაზედ ცხარობენ, ამისთვის ემზადებიან.

აქაც და იქაც თითოეულ—საგუბერნიო და სამაზრო—მარშლის თანამდებობაზედ რამდენიმე კანდიდატი აღმოჩენილა; ახლავე ამზადებენ პარტიებს, ახლავე მოქმედებენ ზოგი ცხადათ და ზოგი ფარულად!

ამას წინადაც ვთქვით, რომ წლევანდელ მარშლების ამორჩევას უჩვეულებრივი მნიშვნელობა აქვს; რომ

---

«დროების» ფელეტონი, 11 აპრილი

## მაჰმადიანი ქართველების სახალხო ლექსები

### I

დაითი სოლომონ ბრძენი
ერთგულია ხმელეთისა,
ჯერეთ ეთქმის ხემწიფობა,
მერე უძახიან ბრძენსა.
ნეფეს სიზმარი ესიზმრა,
ხელთ ეჭირა ოქროს ფულთი[1]),*)
ოქროს ფულთი თვალ-საჩენი
ანათებდა ბნელ ღამესა.
მებადემ ბადე გაგო,
სამი თევზი გამოჰყვესა,
იგი დასჭრეს, დაჩარიკეს
და ტაფაზედა დადვესა.
ეს სიტყვა თუ მართალია,
ტაფას თევზი გაცოცხლდესა,
გაცოცხლდეს და ზღვას შეერთოს,
ტაფას თევზი აღარ ძევსა.
დაუძახეს კუნძულელსა
—ნატვრაც აგისრულდა დღესა.
—ერთი სპილენძის კოკა მაქვს,
მიბარია მებაჟესა,
იმას თუ კაცით ამიმსებ,
დედოფალი შენ წაგყვესა.
—ჩემსა ყმასა დაუძახეთ
ვაჟ-კაცსა და ყმაწვილებსა.
თორმეტ დღეს კაცმა იდინოს,
კოკას ყელში მოაკლდესა,
კუნძულელი შიგ ჩაბძანდეს,
დედოფალიც შიგ ჩაჰყვესა;
კუნძულელი რომ ჩაბძანდა,
თავზე ფუში გადაკრესა,
მენავესა გაატანეს,
შუა ზღვაში გაადგდესა*)

### II

უსუფ ბეგი-ოღლის ამბავი

ბატონის წყალობა მქონდა
ოთხი ქოშე[1]) ოდის ძველი
შნდომობა[2]) შემეჩვია,
შიგ ვიწექი ბიჭი ძნელი,
სილოლი[3]) შიგ ბევრი მქონდა
ქალევა და ნილაზენი[4]),
აედექი და კარს მივდექი,
სად მოსულან ეს აბდლები[5])
მურვანის ძეს თოფი ვკარი,
ბადაუგდე გუდის ძველი,
ნაკაიძე გაიძახის:
—ბეგო, მოკვდი წყლის უსმელი[6])
—წყალი მაქეთ ჩამოდივა,
არ წამიხდინო ჰურჰელი.
შაბათი დილა გათენდა,
სროლაც იქნა საკურველი,
უსუფისა დამცემლსა
ბიჭი უნდა დარჩეული,
თოფის ცემა რომ შეიქნა,
ზოგი მირბის გაქცეული,
იგი როგორ არ აცოდი,
ფინთი, (უსუფი) რჯახდაქცეული.
ოჭობ[7]) უსუფ-აც დაეცნენ
ალიბეგისა ბიჭები,
ყურშუმ ბარუთ[8]) დეელიენ,
ზედ მიაყარეს ჰინჰები[9]).
—ერთი ბიჭი მე ვიყავი,
მერქვა უსუფი სახელად,
უნდომობა შემეჩვია,
დავიკავე ფიშო ხელად,
ვა თუ უნდომს მიღალატეს,
მომეხმარე, ღმერთო, შენაც;
ეზრაელი ჩამობძანდა,
მაღლიდამ მეძახის სულას[10]):
„სული უნდა ამოვწვადო,
ნულარ აქნევ მაგი ენას“.
რიზმან ალავ, ჩემო ძიავ!
ნუ მიუშვებ დუშმანს ჩემსას,
ბრეელი მყავს მე დუშმანები,
ვამე სასაჭმელა ჩემსას,
ხელათ რო ველარ მიზამეს[11])
შვილებისთვინ ლესენ ყამას[12])
მე კდარი და შენ ცოცხალი,
შევაჭრიან გულზე ნაშანს[13])
პაწაწალო დაუყუროთ,
მოგკიდებენ ზურგში თრისას[14])
წუხელი სიზმრათ მესიზმრა,
მოდენიდენ ძროხას ჩემსას.
იმას მკვდარიც კი ვეყოფი,
დალამდება მივალ მისას.
სიცოცხლეში ვსჭამდი სხვისას,
ვატრიალებდი ხელში(?) მუსას[15]).

### III

ასლან ბეჟან-ოღლის ამბავი.

მე ვარ ასლან ბეჟან-ოღლი,
ყოლ ფირალში გარჩეული,
რომელი არის ჩემთანა,
აღარ არის ჩურუქსუში.
თუ დამეცა მურად-ბეგი[1]),
მეტათ გაუწყრება ღმერთი,
შენ თუ ასი ბიჭი გახლავს,
ჩემკენაა დიდი ღმერთი.
ყონახზე[2]) შემომესია,
შიგნით ქე დაერჩი ტყვესავით,
არა კაცს არ გაწყეინეთ,
ჩემთვის ვიჯექი მტრედსავით,
გასაჭირში მომეხმარეთ,
ყველას გეხვეწეთ ღმერთისავით,
თხუთმეტი ბიჭები დამდევს,
რაბათაის[3]) მგლებსავით.
ბაბავ (მამავ), ერთი შინ შემოდი,
ქალი (ცოლი) გარეთ გაიყვანე,
ნენეს (დედას) სალამი მიმირთვი
და უთხარი სიტყვაც თანა:
ბრეელი ქნილა ქვეყანაში
საცოდავი ჩემისთანა.
მურად-ბეგ, არ გეკადრება
ჩემი ასე აზარება[4]),
მეზობლებო! დაუყურეთ
ნობეთით თოფი ვარდება,
თუ მოვკალი ბეჟი-ოღლი[5]),
აქვს სილალი თავის ფასი,
აფხანაგობა თუ იცით,
პაპუნაშვილს წყ ლი ასვით(?),
მოიგონა ყირხსარდლობა,
ჩემსას კარის ძირში დავსვი[6]),
ყაზახობა დაინახა,
აუტირე დედა მისი.

### წარსული ომიანობაზე გამოთქმული ლექსები.

### I

ვაგზავნესა საჩხუბაროთ
ურუმელში[1]) სამი ფაშა,
ორმა ფაშამ ულალატა,
მე გაყიდეს ოსმან-ფაშა,

---

*) შენიშვნების ახსნა იხილე ამავე ფელეტონის ბოლოს.

*) ჩემის აზრით ეს ლექსი სხვა დიდი ლექსის ნაგლეჯი უნდა იყოს. თუმცა ბევრი ვეცადე ამაზე სხვაც რამე შემეკრიბა, მაგრამ ამის მეტი არსად არ იციან.

არასოდეს არ ყოფილა ჩვენთვის ისე საჭირო რიგიანი მარშლების ამორჩევა, როგორც ახლა; რომ ახლა ჩვენ საზოგადო სარგებლობისათვის ნამდვილად გულ-შემატკივარი და მზრუნველი კაცი უნდა ამოვირჩიოთ-მეთქი; ისეთი თავიანი კაცი, რომელსაც კარგად ესმოდეს—რა არის ჩვენთვის ეს საზოგადო საჭიროება, რა გზით, რა საშუალებით და რა ღონის-ძიებით შეიძლება ამ საჭიროებათა დაკმაყოფილება და სხვ.

Ადრე ვინც უნდა ჰყოფილიყო ამორჩეული, თითქმის სულ ერთი იყო: არც ბევრი ვნების მოტანა შეეძლო საზოგადოებისათვის და არც ბევრი სარგებლობისა. Ადრე ზოგნი ჩვენგანი თითქმის მარტო პირად პატივისცემისათვის, ნათესაობით, მეგობრობით და მეყვრობით ირჩევდა თავის წარმომადგენელთ. „—Კარგი კაცია, კარგი წამოსადეგი, ჩინებული თავადიშვილი, შავი რო ჩაეუგდო ეწყინება, რა მენაღვლება იყოს მარშლად, მიილოს ჩინებიო!" Ასე სჯიდა ზოგიერთი მეკენჭე თავადი და აზნაური. Საუბედუროდ და ჩვენდა სასირცხოდ, ამას ხშირად მეკენჭეების პირადი სარგებლობა, ხან-და-ხან კანდიდატებისაგან მოსყიდვაც, გერიეოდი სადილები ერეოდა და ამით წყდებოდა საქმე.

Ახლა სულ სხვა ნაირად უნდა წავიდეს მარშლების ამორჩევის საქმე; სულ სხვა მოსაზრებით უნდა ხელმძღვანელობდნენ მეკენჭენი. Ახლა ისეთ დროს მოველით, როდესაც მარშლებს ხმა ექმნებათ ჩვენს საზოგადო საქმეებში; მთავრობა დაეკითხება იმათ ჩვენს საერო საჭიროების თაობაზედ; აქაც და პეტერბურღშიაც იმათ აზრს, იმათ ხმას და რჩევას შეიძლება ყურადღება მიაქციონ. Დღე-დღეზე ერობის წესების შემოღებას უნდა მოველოდეთ ჩვენში. Მარშალი თითქმის პირველი იქნება მაშინ. Ამ მოკლე ხანში ხელმწიფის გვირგვინის კურთხევა იქნება მოსკოვში; ჩვენი წარმომადგენელნი უნდა წავიდნენ იქ, უნდა შეატყობინონ უმაღლეს მთავრობას ჩვენი მდგომარეობა, ჩვენი საჭიროება, ჩვენი ავი და კარგი.

Როგორ მოახერხებს ყველა ამას ისეთი კაცი, რომელიც სწავლა-განათლებით, კეთილ-შობილური გრძნობით და გამოცდილებით არ არის ამისთვის მომზადებული? Როგორ მოახერხებს ამას კაცი, რომელსაც თავის სიცოცხლეში, ჩინების მიღებასა და დიდ-კაცების მასპინძლობის მეტზე, არა უფიქრნია, არა უზრუნვია-რა?

Ყველა ეს ისეთი უბრალო ჭეშმარიტებაა, რომელიც ჩვენს თავად-აზნაურობას უჩვენოთაც კარგათ უნდა ესმოდეს, და ესმის კიდეც; მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ხშირად, ძალიან ხშირად ჩვენებური გულ-ჩვილი კაცი იმდენ ხასიათის სიმტკიცესა და სიმაგრეს ვერ იჩენს, რომ ისე მოიქცეს საზოგადო საქმეში, როგორც ამ საქმის წარმატება და სიკეთე მოითხოვს და არა ისე, როგორც ჩვილი გული ეუბნება. Სისუსტე, მიდგომა, დაუდევრობა და გულ-ჩვილობა ამ გვარ საქმეში უბრალო ბოროტ-მოქმედებასა და დანაშაულზე უფრო მძიმე ბოროტ-მოქმედებად და დანაშაულობად არ ჩაითვლება, ამიტომ რომ ამით საერო საქმეს ეძლევა ვნება, საზოგადო სარგებლობას ეძლევა დაბრკოლება.

Იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა ამ გვარ მავნებელ სისუსტესა და დაუდევრობას არ გამოიჩენს წელს.

---

## ᲓᲚᲘᲣᲠᲘ

Ხელმწიფე Იმპერატორის გვირგვინის კურთხევის დღე ჯერ ნამდვილად არ არის გამოცხადებული; ბეჯითად იციან მხოლოდ აგვისტოში იქნება; ზოგიერთები ამტკიცებენ რადგან Ალექსანდრე Იმპერატორმაც ამ დღეს იკურთხა გვირგვინიო. 28 აგვისტოსაო, Დღესასწაულები და სხვა-და-სხვა ცერემონიები გვირგვინის კურთხევისა ორ კვირას გასტანსო (Იმპერატორის Ალექსანდრეს II-ის გვირგვინის კურთხევის დღესასწაულები კი ექვსი კვირის განმავალობაში იყო).

* * *

Გაზ. „Გოლოსში" დაბეჭდილი ტელეგრამმა გვაცნობებს Ლონდონიდამ, აქ გავრცელდა ხმაო, რომ შინაგან საქმეთა მინისტრად თ. Ლობანოვ-როსტოვსკის ნიშნავენო და, ამ ხმის გამო, რუსის ფულებისა და სარგებლიან ქაღალდების ფასმა აიწიაო.

* * *

Ამავე გაზეთის სიტყვით, გრაფი Ლორისმელიქოვი 2 აპრილს დაბრ-
რუნებულა პეტერბურგში, მაგ-
რადგან ჯერ კიდევ შეუძლოთ
ამის გამო მალე ისევ სამზღვარ-
რეთ (ნიცაში) აპირებს დაბრუნე-
საო.

* * *

Გაზ. „Შრომაში" დაბეჭდილია ბა-
თუმიდამ მიღებული ტელეგრამმა,
რომლითაც ვტყობულობთ, რომ ა-
პრილის 4-ს ამ ქალაქში გაუმართავთ
„სახალხო სეირნობა" და ლოტარეა
იმ 2,000 ბერძნისთვის, რომელნიც
Ოსმალეთიდამ გადმოვიდნენო. ხარჯს
გარდა 1500 მან. დარჩენიათ. Ეს ფუ-
ლები ზოგი ქინტრიშის ხეობაში ცხოვრობენ
ლებაო.

Ამავე ტელეგრამმის სიტყვით, მთე-
ლი ბათუმის მაზრიდამ ოთხმოცი ათა-
სი სული გადასახლებულა, დარჩენი-
ლია მხოლოთ სამოცი ათასი სუ-
ლი.

Ბათუმის მაზრაში შტატების შემ-
ცირებას აპირებენო: ბათუმის, მაჭა-
ხელისა და შავშეთის უჩასტკები ერთ-
ად გააუქმონო.

* * *

Ჩვენ შევიტყეთ, რომ ძვევის ხიდი
(Ფოთი-Ტფილისის რკინის გზაზე)
ჭამად საშინლად დასუსტებულია, რა-
დგან წყალი ძირს უთხრისო. Ამის
გამო ამ დღეებში Ფოთი-Ტფილისის
რკინის გზაზე მოძრაობის მოსპობა
ელიან.

* * *

Გორიდამ გვატყობინებენ, რომ
ადიდებულ მტკვარს დაუზიანებ-

---

Ოსმან-ფაშამ ჩხუბი რო ქნა,
Მისი ეში²) აღარ დარჩა,
Იმას უფრო რაღა ექნა,
Მომხმარე რო აღარ დარჩა?
Ოთხნივ კედრით³) რო მივიდენ,
Შემოესია ჯარია,
Დიკოდა Ოსმან-ფაშა,
Ხელთ დაიჭირა ხმალია.
Ენერალმა დაუძახა:
„—Დადევი მაგი ხმალია,
Შენ თუ რამე გაგიჭირდეს,
Მე ვარ შენი მომხმარეა!"
Ხემწიფესთან წაიყვანეს,
Მან შეაძლია ხმალია;
Ხემწიფემ ასე უბძანა:
„—Არ აგერთმევა ლეკური,
Შეიდ ყირალში⁴) არ მინახავს
Შენისთანა მოწიფული,
Შეგშვენდება, უნდა მოქცე,
Უნდა გიჩვენო სტამბოლი(?),
Წამხდარ საქმეს გააკეთებს
Ღაზი-Ოსმან-ფაშის ხმალი".
Დაუძახა (ვინ?) თორმეტ ფაშას,
Ერთათ მოსჭრა(?) ყველას თავი,
Ზოგსა ფაშას თავი მოსჭრა,
Ზოგს მუაბა წელზე ქვაი,
Ბემიჯებსა გაატანა,
Მუანახვა შავი ზღვაი.
Ცის კიდეშია გასულა
Მისი (Ოსმან-ფაშის) ყაზახობის ხმაი,
Რუსებს ქირათ კი ეყოფა,
Აღარ უნდა ფაშა სხვაი.
Ურუმელში წაიყვანა
Დიდი გამოთხრილი გზაი,
Ნამესნიკმა(?) შეუთვალა:
„რაიზ გამოთხარე გზაი?"
Იგი მტერებიზდა მინდა,
Მეაყარო გულზე ვაი,
Აეროფიდგან უყიდნია
Მილიონის ზარბაზნები,
რუსის ყირალს შაუთვალა:
Თუ ბიჭი ხარ, დამაგრდები,
Ხაზეთას რო წაიკითხავ,
Მაგ ბათომში გესტუმრები,
Ღმერთით მაშინ მოგერიო,
Დაგასრო ყირალები,
Მე გახლავარ Ოსმან-ფაშა,
Გავიწყვიტე სალდათები.

II

Მიგვიყვანეს, გადაგვწერეს,
Დაგვიყენეს ბიმბაშები⁵)
Რუსებსაც კარგათ ვეჩხუბეთ
Გაუწყვიტეთ სალდათები.
Იგი რა ქნეს ურცხოფერი,
Რომ დაგვიწვეს ყონახები,
Ჩვენ ნამუსსაც დავებძოლეთ,
Გავიმეტეთ ოჯახები.
Ჩვენმა ფაშამ ასე გვითხრა:
—Ციხი-ძირზე ნუ დადგები!
Ჩვენც იგი არ დევიჭირეთ,
Მაინც ვესროლეთ თოფები,
Ორ თვეს ასთე ვაბოგიშეთ ¹),
Როგორც მეგრელის ჯოგები.
Ჩვენაც ასე გვიღალატეს,
Არ მოგვახმარეს ჯარები,
Გვიღალატეს ფაშიებმა,
. . . . . . . . ;
Კარგა გულით ვემსახურეთ,
Შაგვიჭამეს აილუღები ²).
Იგი რა ქნა Დევრიშ-ფაშამ,
Რომ დაკარგა ბეგიები ³),
Ახალ ბიმბაშები მოქცეა
Ჩვენი სოფლის აღიები,
Იგანმა თლათ გვიღალატა,
Იპარა თაინის ⁴) დევთრები,
Მიუწია ფუხრის ⁵) წყეულმა,
Გოუწყდა ქალი-ბალანები,
Ამდონეთი ფუხრის წყეულით,
Ბელქიმ ⁶) დაეფსოს თვალები;
Სოფლით გახდენ აღიები,
Მერე დეუყლიბეს ⁷) თვალებს.
— Მე ნიშანი დავიკიდე,
Რაღათ მინდა მეზობლები,—
Მუხაჯირათ რო წავიდენ ⁸),
Წაიღეს ჩვენი თაინები,
Მადლიზდა ხომ არ წასულან,
Შქვილი უნდიენ წასაღები.
Ამ დუნიას კი ⁹) წაიღე,
Იმ დუნიას რას მიგნები.
Ასე დიდს ვერ დაიყვირებ,
Ღმერთით ზურგზე დაგაჯდება,
Ძალიანი მოწიფული
Ახლანდელი აღიები,
Ჩხუბში წასვლას რომ იტყოდენ,
Დაუდგებოდნენ მუხლები.
Მოხაჯირათ ვერ წავედით,
Სხლა რუსებს მივენდევით.—
Რუსმა ფულები დაგვპირდა,
Დღეში სულზე აბაზები,
Ჩვენთვის ყველამ მაისავა ¹⁰)
Რომ დაფიქრდე, გაშტერდები:
Ბელქიმ ხემწიფე გვიგზავნის,
Სჯამენ გზაში ბომტანლები;
Ფული ვსთხოვეთ, ასე გვითხრეს:
„რიზედ გვესროლეთ თოფები?"
Ჩვენ რომ თოფი არ გვესროლა,
Ხომ არ ვიყავით ფიცხოვლები,
Ყველა ჩხუბში ასდე ვიყავით,
Ჩვენ გახლავართ ქობლეთლები.

III

Ხონთქარი და რუსი ჩხუბობს,
Არის ერთმანეთის ეში.
Ბეგიებმა გვიღალატა,
Გაგვიყვანა ქვირიკეში,
. . . . . . . . .
Ჩვენ დაგვტოვეს რუსის ხელში.
Მათაც კა არ დამართნეს,
Გაწრით ჩაიყვანეს გემში ¹),
Მათი ტირილი გვესმოდა,
Სუფსას გაღმა ბაილეთში.
Მოწყალევ, ბრევლი გვიცოცხლე
Დევრიშ-ფაშა ხვანთქრის ხელში.
Ქობულეთში ჩხუბი რომ ქნა,
Აქ დაჰყარა რუსის ლეში,
Ზოგ რუსებსაც თავი დასჭრა,
Ზოგი გადაყარა ღრეში,
Მისი ქება და სახელი
Იწერება ხაზეთებში.
Ბეგიები ამოვადენ
Დასაწვევათ ჩვენს ეზოში,
Ჩვენი ცოდვა მათ ეყოფა,
Ამ დუნიას, ახირეთში ²).
Გამჩენი ღმერთის წყალობით
Ჩვენ კი მოვალთ ჩვენს ოჯახში,
Თქვენ ბათომში ველარ მოხვალთ,
Ბძანდებოდეთ მაგ სტამბოლში,
Ალი-ფაშა Თავდგირიძეს
Ემსახურეთ თავის დღეში.
Ამ ლექსისა გამომთქმელი
Დედი-ალა ვარ უზბაში,
Ასი თუმანიც მივეცი
Ზაქარიაძეს ყუმარში;
Აპხანაგი აღარ დამრჩა,
Მარტოი დევალ ქალაქში,
Ბეგიები გადმემტერენ,
Ქერაქულა ³) გზეპა ბრაჩში.

IV

Წინ მოდიან კახელები.
Უკან მიზდევს გურულები,
Დაიხოცენ კახელები,
Მზათ არიან გურულები;
Გარეშემო შემოგვერტყმიან
Მოსკოვს ბატები რუსები,
Სულ ხმალ-და-ხმალ გადმოდიან
Ეს ხირსუზები ¹) ოსები.

...გრძელდება მორის ხიდიც და ახლა ნავ-
...ტიკებით გადადის ხალხი მტკვარზედ.

* * *

ჩვენ გვატყობინებენ, რომ ამ აპ-
...ილის 7-ს სავაჭრო სახლის „Იაგორ
...ქასუმოვი და ამხ.“ ზედამხედველ კო-
...მიტეტს დაუმტკიცებია გაველილ 1881
...წლის ანგარიში და ამასთანავე აღმო-
...ჩენილი, რომ ამ 1881 წლის დივი-
...დენდად (სარგებელი) სავაჭრო სახ-
...ლის პაის პატრონებს მიეცემათ: 1
...ხარისხის (1000 მან.) პაის პატრო-
...ნებს პრემიითურთ—195 მან. 55 კაპ.,
2 ხარისხის პაის პატრონებს 100 მა-
...ნეთზე 13 მან. და 66 კაპ ხსენებულ
...წლის განმავალობაში სულ 1,875,856
...მან. დაუტრიალებიათ, 915,781 მა-
...ნეთით უფრო მომეტებული, ვიდრე
...წინა 1880 წელსა. Დივიდენდის და-
...რიგება 15 აპრილიდამ დაიწყებენ.

* * *

ჩვენ გვითხრეს, რომ შარშან ოქ-
...ტომბერში Დუშეთის მაზრის სოფ.
...Ანანურ...თან მოჰკლეს ერთი მე-
...ჯორე Ივანე Იკითხანოვი და მე-
...ორეც Ივანე Ჯიმშეროვი მძიმედ და-
...ჭრეს. Ავაზაკებს წაუღიათ მოკლუ-
...ლის ათას ხუთასი მან., ოქროს სა-
...ათი, ბეჭდები, ქამარი და სხ., Ჯიმშე-
...როვიც გაუცარცვავთ.

...მოკლული კაცი მთელი ერთი
...კვირა ეგდო თურმე ტყეში, ექიმს
...მოელოდნენ და პოლიციას და ამის
...გამო ძმას მიცვალებულის წამოსვე-
...ნებისა და დასაფლავების ნებას არ აძ-
...ლევდნენ. Ერთის კვირის განმავლო-
ბაში ადგილობრივ ადმინისტრაციას
არავითარი განკარგულება არ მოუხ-
დენია ავაზაკების აღმოსაჩენად და
დასაჭერად. Და ამ ნაირად ეს საქმე
დღესაც არა სჩანსო.

* * *

ჩვენ მივიღეთ შემდეგი შენიშვნა:

„პარასკევს, 9 აპრილს, იყო მეო-
რე წარმოდგენა ბატ. ძუმპანის რუ-
სული ტრუპპისა. Ითამაშეს 4 მოქმ.
კომ. „Ცელქობა“ („Шалость“)—Კრი-
ლოვისა. Ოხუნჯური, სასაცილო პიე-
სის წყალობით, ხალხს არ დაეძინა,
თუმცა ამათ განსვენებისთვის დიდათ
ცდილობდნენ მოთამაშენი.

„Ანტრაქტში იმღერა საქსონსკი-
სამ, რომელიც მეორედ გამოიწვიეს
უფრო სამასხაროდ, ვიდრე სმენის და
თვალის დასატკბობად. Ვიკტოროვმა
საკმაოდ კარგად წაიკითხა კუპლეტე-
ბი.

„Ოპერეტკამ: „Угнетенная невинность“ ისე საძაგლად გაიარა, რომ
მაყურებელნი შუა წარმოდგენის დროს
წამოდგენ და გარბოდნენ.

„შემოსავალი იყო ცხრამეტ თუმ-
ნამდინ. Პირველ წარმოდგენამ მისცა
192 მან., მეორემ 190 მან., სულ
382 მ. Ანტრეპრენიორს ხარჯი აქვს
თითო წარმოდგენაზედ 145 მ. მაშა-
სადამე ტრუპპის ჯამაგირისა და სხვა
ხარჯისათვის ანტრეპრიონერს დარჩე-
ნია ორი წარმოდგენისა 92 მ.! Აფი-
შები გვაცხადებს, რომ ანტრეპრიო-
ნერს 59 კაცი და ქალი ჰყავს დაქი-
რავებული აქტიორ-აქტრისები. სულ
ცოტა რომ ვიანგარიშოთ ზედიზედ
სულზედ თვეში ჯამაგირი ექნებათ
60 მანეთი, საიდგანაც გამოდის, რომ
თვეში სალამოების ხარჯ გარეთ 3,540
მან. ეჭირება ჯამაგირად.

„Თვეში ბატ. ძუმპანს თექვსმეტი
წარმოდგენა აქვს და იმის შემოსა-
ვალმა ერთი-ორად რომ აიწიოს,
მაინც 92 მანეთს ვერ გადაალელებს
სალამოს შემოსავალი; თექვსმეტი წარ-
მოდგენა კი მისცემს მარტო 1442
მან.!

Თუ ასე არა ბ. ძუმპანმა დიდ განძს
გაიტანს ჩვენი Ტფილისიდამ.

„Ბოლოს ურჩევთ ბ. ძუმპანს, უბ-
რალო ტაკიმასხარეების მაგივრად,
რაც შეუძლიან ჩქარა ნამდვილი არ-
ტისტები გამოიწეროს, თორემ Ტფი-
ლისის საზოგადოება მეტად განებივ-
რებულია კარგი მოთამაშეების ხილ-
ვით, და ამ გვარის ტრუპპით-კი ის
აქ ვერ იხეირებს.“

ა. მ.

## ТФИЛИСИС САМКУРНАЛО

## ТФИЛИСИС САМКУРНАЛО

## ტფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა
საათიდამ თორმეტ საათამდის.

ო რ შ ა ბ ა თ ს გარალევიჩი და ლი-
სიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელ-
დიში სიფილისტიკური და სირურგიული
ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის,
ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობი-
სა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და ში-
ნაგან ავათმყოფობისა.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს. მინკევიჩი—სირურ-
გიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—
შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სი-
ფილისტიკური და სირურგიული ავათ-
მყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქა-
ლების და ყმაწვილების ავათმყოფობისა;
ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების
სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს. ლისიცევი და მი-
რიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელ-
დიში—სიფილისტიკური და სირურგიუ-
ლი ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბე-
ბიაობის ქალების და ყმაწვილების ავათ-
მყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს-
ავათმყოფობისა.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს. ლისიცევი—შინაგან
ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილის-
ტიკური და სირურგიული ავათმყოფობი-
სა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და
ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—
ძარღვების ავათმყოფობისა.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს. მინკევიჩი — სირურ-
გიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მი-
რიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან
ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილის-
ტიკური და სირურგიული ავათმყოფობი-
სა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და
ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—
ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

შ ა ბ ა თ ს. ლისიცევი—შინაგან ავათ-
მყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკუ-
რი და სირურგიული ავათმყოფობისა;
ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწ-
ვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ.
ს სუსტის ავათმყოფობისა.

---

...შემოგვარტყეს ყარაული [2]),
...გაუდინეს ასკერს [3]) ცეცხლი,
...ასე გაგვიჩეხეს თათარი
...როგორც სოფელში ქათამი.
...აგი სულთანმა შეიტყო,
...შემოირტყამს თავზედ ხელსა:
„—...უნდა უთხრა ბარუშული [4])
...გიაურების ხემწიფესა,
...მეკმაროს დანაშაული,
...მეტათ ნულარ წაგვახდენსაო“,
...დამილოცნია ბათომი,
...ყარსიც დამიდვია ზედა.

სააშიყო ლექსები.

I

...ქართლის ქალებსა მოგწერე
...თათრის ქალებს კურნებით:
„—თქვენც ქალები, ჩვენც ქალები,
...მაგრამ არ გვევხართ სრულებით;
...ღვთისა ნამზგავს სახეს ფარავთ,
...გაქვან ფარული ჩადრები,
...რაც კაცმა მაგი გასწავლა,
...ნურაგზით ნუ ეთანხმები“.
...თათრის ქალებმა მოგწერე
...ქართლის ქალებსა კალმები:
„—ჩვენ ჩვენთვის თითო მალი გვაქვს
...ქმარებისთვის უვარები,
...თქვენ თქვენ ქმარებს ვერ ცნობილობთ,
...ხშირად ფოთში იარებით,
...საცოდავსა თქვენ კაცებსა
...რა ტყუილათ ემალებით“?
...ქართლის ქალებმა მოგწერე
...თათრის ქალებსა ვარდები:
„—ცხადათ კაც რო დაინახამ,
...კარს უკან დაეფარები,
...უცხოეთა სხვაისახართ
...ლამაზი თქვენ ფარგებით,
...საცოდავსა თქვენ პატრონსკი
...სამკვიდროთ ეპრიანებით“.
...თათრის ქალებმა მოგწერე:
„—კი სჯობს თქვენი ხაბარდები,
შარაში კაცს დაინახავთ,
მიხვალთ, ხელთ ჩაუვარდებით;
Ბლეხი რავა გავამტყუნოთ,
შეარცხვინა თავადები,
Ტანციობა დაგიწყვიან,
ჯოჯოხეთში ჩავარდები“.
Ქართლის ქალებმა მოგწერე:
„—ხოლოდ ლამაზი ბძანდები,
Პარადობას თქვენ გიქებენ,
როგორც ზეცაში მთვარები,
Იგი ქვეყანა გაბწყინდა,
სადაც თქვენ დაიარები,
Ჩვენი კაცი ვერ მოსულან,
გადმოგიწყვიან ხვანჯარები“.
Თათრის ქალებმა მოგწერე:
„—თქვენ ლარილს [1]) ვენაცვალბი,
Თავით ბოლომდინ შემკული
ალმასით თქვენი ტანები,
Პატარალა ხათრი გვრჩება,
რომ წაგვართვითა ქმარები,
Იმისთვინ ხომ არ მოსწონან,
მოპარსული აქვთ თავები“?

II

Ერთჯელ გიხილე, ბატონო,
მომწონდა პირისახეო,
Ვირდის გზავსად მომეჩვენე,
გადაწმენდილო მთვარეო;
Ჩემი სული შენთან რჩება,
გეძებე, ვერსად გნახეო;
Ერთი წიგნი შენც მომწერე,
ან მაგინე ან მაქეო!
Ვიწვი უცეცხლოთ, იცოდე,
მადლისდა ერთი მნახეო.
Ღმერთო, იგი მომასწარი,
რომ ჩაგიტკბილო ბაგეო,
Ბნელსა ღამეს გაანათებს,
ბატონო შენი სახეო,
Ისე ლამაზი ბძანდები,
არ გინდა ღამით სანათი,
Ერთი შენის ნახვისათვის
ხომ არ მშურს ასი მანათი.
Ღამე ძილიც ხომ არა მაქ
და საჭმელიც ხომ არ მინდა,
შენი ქება მე რო მითხრეს,
ჩემი გული დაიბნიდა,
შენი ჯავრით მე რო მოვკვდე,
ჩემი ცოდვა შენ რათ გინდა?

III

მაღლითა წამომდგარიყო
თვალ-ჟუჟუნა თეთრი ქალი,
ხელს მიქნევს, ზეით ამოი,
შინ არ არის ჩემი ქმარი...
Ბაღმით მოვა ჩემი ქმარი,
გონჯათ უყლეპია თვალი,—
Ღმერთო, შენ ის მომიკალი,
ზედ შევსწირე ულლათ ხარი,
Ულლათ ხარს თუ არ დამჯერობს,
ზედ დავადე ლიბრივ [2]) ცხვარი.
Ტანდაპალო ჩამბაქლავ [3]),
შენ რა მეხმა გაგახელა?
Მამა-პაპლობა ბევრი მქონდა,
უკაცობამ გამახელა.
Ჩემო მკვლელო, ჩემო მწველო,
ჩემო ახლოს მეზობელო,
როგორც ცეცხლი შემიკდე,
ისევ შენ უნდ გამინელო.
Ოსმან-ბეგ, შენი ჭირიმე,
შავარდენს გიგავს თვალები,
Წინ-წინ მე გენაცვალები,
მერე ხუცუბნის ქალები;
Ნელ-ნელა ბაღჩაში მოი,
არ დაგცხვიონ ძაღლები,
Ნელ-ნელ კარი შემოიქან,
არ გამიღვიძო ბალნები.

IV

Ღოლისხანას ყანა მქონდა,
ყანაშია დიდი ლოდი,
Ლოდის ქვეშეთ დიდი გველი,
გველსა ჰქონდა ორი თვალი;
Ერთი თვალი ცეცხლი იყო,
მეორე-კი წყლისა იყო;
Ბამოდინდა წყლისა თვალი,
დემინელა ცეცხლის თვალი.
Შენსა თვალისა მცემარსა
დაუქორდეს ორივ თვალი.

---

[1]) ბურთს ფურთს ეძახიან.

[1]) ქოშე კუთხეა, ოდა სახლი. [2]) ავად-მყოფობა. [3]) თოფ-იარაღი. [4]) თოფის სახელებია. [5]) მხდლები. [6]) მაჰმადიანთ რჯული ვალათ უდებს სიკვდილის წინ წყლის დალევას. [7]) მგონი, გეშოვ. [8]) ტვია-წამალი. [9]) მჩვრები [10]) სვლა ლოცვაა, რომელსაც მოლლები ფარსკლობით მო-ნარიდამ იძახიან. [11]) ხანჯალი სატევა-რი [12] მაჰმადიანებს ნიშანი აქვთ გულზე დაკიდული, როგორც ჩვენ ჯვრები და რო დაიხოცებიან სათლავში უნდა ჩაატა-ნონ. [13]) ზღვის თევზია. [14]) თოფის სახელია.

[1])თავდგირიძე. [2]) სასლზე. [3])ადგილის სახელია. [4]) აკლება. [5]) როგორც ეტყობა წინა ლექსში ნახსენები ბეჟიოღლი ამ ბეჟუნ-ოღლის მოუკლავს [6])მოკვალი.

[1]) რუმელიაში. [2]) ტოლი. [3]) მხრით. [4]) სახელმწიფოს, ხელმწიფეე.

[1]) მაიორებთ. [2]) ჯამაგირები. [3]) ამ-ბობენ, ვითომც თავდგირიძეების ლალატი შეემჩნიოთ, შეეპყრათ და სტამბოლში გაეგზავნოთ, სადაც შემდეგ თავი უმარ-თლიათ. [4]) პროვიანტი. [5]) ღარიბის. [6]) ეგებ. [7]) დაუჭყიტეს. [8]) გადასახლ-დნენ. [9])ქვეყანა [10])მოისპო.

[1]) ამ სტრიქონშიაც თავდგირიძეების დატყვევება იგულისხმება. [2]) ჯოჯო-ხეთში. [3]) ქნა-ქულას ყაბალახს და სხვა თავსასურავს ეძახიან.

[1])ქურდები. [2])რუსები რო ЦЪПЬ-სხმა-სიან, ეს ის არის. [3]) ჯარს. [4])შერიგება.

[1]) ლაპარაკს. [2]) წრელი. [3]) ქალის მე-ტი სახელია.

# განცხადებანი

ექიმი შტემბორსკი

მიიღებს ვენერიულ და ხორცის კანის ავათმყოფებს მუდამ დღე დილის 9 საათიდამ 11 საათამდინ და საღამოს 4 საათიდამ 11 საათამდინ. ღარიბებს მიიღებს მუქთად.

ადრესი: სოლოლაკი სადოვის ქუჩა, სახლის № 50. (10—2)

---

# აუქციონი

**17 და 24 აპრილს და 8 მაისს 1882 წელს კავკასიის აქეთა-მხრის პრიკაზში დანიშნულია აუქციონით გაყიდვა ოქრო-ვერცხლის და სხვა მეირფას ნივთებისა.** (3—1)

---

**ისყიდება** ახლად აშენებული, პატრონების წასვლის მიზეზის გამო, პიროსნის კუთხეში და ანდრეევის ქუჩაზედ **სახლი № 13** რვა ოთახით ორის წინა ოთახით, სამზარეულოთი და მოსამსახურის ოთახით და ორის სარდაფით, მიწით ზომით 300 საჟენით.

პირობების შეტყობა შეიძლება ამავე სახლშიდ.

**ისყიდება სახლი** ნიკოლაევის ქუჩაზედ № 96-ს 4 ოთახით თალებიანი ქვემო პოდვალნი სართულით, თავლით და სხვა ყოველ გვარ მოწყობილებით საყინულით, ამ სახლს აქვს პრიკაზის ვალიც.

დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება ანდრეევის ქუჩაზედ, სახლი № 13. (3—2)

---

## სადგომი

8 და 4 ოთახიანი იძლევა ქირით გორონცოვას წყლის-ნაპირა ქუჩაზედ, სახლის № 13. ჰკითხეთ სახლის-პატრონს ისარლოვისას. (3—1)

---

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნის სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

**წითელი ფარანი**, ფასი 15 კ.
**ხატაური** — — — 10 კ.

---

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება:** პაროსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—78)

---

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება
თფილისის წიგნის მაღაზიებში

**იგავ-არაკნი**

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუედგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

---

## იურიდიული კაბინეტი

იურიდიული ბიბლიოტეკით

დაარსდა გოლოვინის პროსპექტზე არხიტექტორის ბელოვის სახლში ქელბერის პირ-და-პირ.

მთხოვნელს მიიღებენ დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 3 საათამდის და 7-დამ საღამოს 10 საათამდი.

აქ კაბინეტის პირობა და ტაქსა გამოცხადებულია და ცალკე დარიგდება. (30—14)

---

## ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| ხაუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოთ, სხვაგან კი ქაღალდით. (100—99)

---

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციულ-ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ზურზლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაიჩიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, ღუზებისა, საპონისა, შხო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩავინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავანას სიგარები. (100—99)

---

**ტიტულიარნის სოვეტნიკი ეფრემ ფადეიჩი კობიევი** აუწყებს საყოველთაო საცნობლად, რომ თანხმად ახალი წესისა დაწესებულ უმაღლესის მთავრობისა, დიდი ხანია რაც მიეიღე ტფილისის ოკრუჟნის სუდიდამ მოწმობა პოვერნიობ სა, რომელითაც ნება მაქვს საქმეების წარმოება სუდებში.

ამისათვის მსურველთ შეუძლიანთ მომანდონ როგორც სხვა-და-სხვა საქმეები საწარმოებლად, აგრეთვე დავებისა, რომლებიც აღმოჩნდნენ გამიჯვნის დროს მამულებისა. ამისთანავე ვილებ უგოლოვნის (სისხლის სამართლის) საქმეებსაც, როგორც ვექილი და გამოცდილი ჩინოვნიკი მყოფი სეკრეტრის თანამდებობაში ტფილისის ოკრუჟნის სუდში.

ბინა მექნება ქ. დუშეთში ბევო არაქელოვის სახლში.

პოვერნია ტიტულიარნი სოვეტნიკი
(3—3) ეფრემ კობიევი.

---

სურამის და ხაშურის სტანციებში ისყიდება დიდ-ძალი დამწვარი კირი. ფასის შეტყობა შეიძლება სურამში ალექ ანდრე აბაზაძისგან. (15—9)

---

**თფილისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი,** წესდების § 82 მუხლის ძალით, მოიწვევს ამ ბანკის წევრთა ჩვეულებრივ საზოგადო კრებისათვის რომელიც იქნება აპრილის 29-ს ამა 1882 წელსა დილის 10 სათზე ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზედ, თ. ირაკლი გრუზინსკის სახლში.

### განსახილველი საგნები:

1). განხილვა გავლილ 1881 წლის ბანკას შემოსავალ-გასავლისა.

2). განსაზღვრა-თუ საზოგადო საჭიროებისათვის დანიშნული ფული ბანკის შემოსავლიდამ, რადა რა საგნებზე უნდა იქმნეს მოხმარებული.

3). განხილვა და დამტკიცება 1882 წელსა ბანკის გამგეობისათვის ხარჯთ-აღრიცხვისა.

4). მოხსენება ბანკის გამგეობისა იმის შესახებ—თუ რა შემწეობა შეუძლიან ბანკს აღმოუჩინოს გლეხებსა ადგილ-მამულის საკუთრებად შეძენაში.

5). აღმორჩევა ბანკის გამგეობის თავსმჯდომარისა ახლანდელის თავსს მჯდომარის თ. ჭავჭავაძის მაგიერად. რომელიც რიგით უნდა გამოვიდეს გამგეობიდამ.

6). აღმორჩევა ზედამხედველ კომიტეტისა და დამფასებელ კამისიის წევრთა და ამ უკანასკნელთ კანდიდატებისა. (9—4)

---

ახლად ჩამოსული

# ბებია-ქალი

აქვს იმპერატორის მოსკოვის უნივერსიტეტის დიპლომი, რომელიც ათი წელიწადი მუშაობდა ქ. სარატოვში და რომელსაც აქვს ამ ქალაქის საექიმო გამგეობისაგან რამოდენიმე მოწმობები თავის ხელობისა,—მიიღებს ავად-მყოფ და ორსულ ქალებს თავის სადგომზე, სადაც აქვს ამათთვის დამზადებული ოთახები.

**ადრესი: ელისავეტინის ქუჩა, სახლი 60.**
(24—9) ბებია-ქალი **დობროდეევა—კაჟინსკისა.**

---

**„განმგებელი კომიტეტი ... სის გუბერნიის თავად-აზნაურობის საზოგადოებისა, შეუძლებელ მო... წავლეთა შემწეობისათვის“** აცხადებს, რომ ოთხშაბათ, 28 ... რილს, დილის 10 საათზედ ... მოხსენებულ საზოგადოების წევ... **საზოგადო წლიური კრება** ... სააზნაურო სკოლის სადგომში, ს... ლოლაკის ძველი ინსტიტუტის ქუ... ზედ, ბაისალოლოვის № 19-ის ს... ში.

### განსახილველი საგნები:

ა.) წლიური ანგარიშის განხილ... და დამტკიცება.

ბ.) განხილვა და დამტკიცება მ... მავალი წლის სავარაუდო ანგარიშ... სა.

გ.) წევრთა ალრჩევა „საზოგადო... ბის“ განმაგებელი კომიტეტისა. (6—2)

---

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარ... ვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**თამარ დედოფალი**

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

---

სომეხთ ნერსესის პოპეჩიტელ... სოვეტში ამ აპრილის 21-სა, საღამ... ზედ 8 საათზედ არის დანიშნუ... **ტორგი** (უპერეტორშკოთ) იჯარ... მისაცემათ თელეთის წმიდის გიო... გის ეზოში ერთის დუქნისა თავის... ერთის ოთახითა.

მსურველს შეუძლიან წაკითხვა პ... რობისა ამავე სემინარიის კანცელარია... ში ყოველ დღე, კვირისა და უქ... დღეების გარდა, დილის 10 საათიდა... ვიდრე 12 საათამდინ. (3—1)

---

### ტაქსის

აკვებათ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუ... ნებში და დატარებით 1 აპრილიდ... 1 მაისამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილ...

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | — 1 გირ. | 5... |
| მეორის „ | — 1 გირ. | 3... |
| მესამის „ | — 1 გირ. | — |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვ... | | |
| პირველის ხარისხის | — 1 გირ. | 6 |
| მეორის „ | — 1 გირ. | 4 |
| ჭვავის-მამის პური: | | |
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 7 |
| მეორის „ „ | — 1 გირ. | 5 |
| მესამის „ „ | — 1 გირ. | 4... |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხის | — 1 გირ. | 11 |
| მეორის „ | — 1 გირ. | 9 |
| სუკი — — | — 1 გირ. | 16 |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 13 |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველი ხარისხის | — 1 გირ. | — |
| მეორის „ | — 1 გირ. | — |